SOS! ბავშვები არ გვაპატიებენ...

თბილისსა და რესპუბლიკის სხვა რეგიონებში შემაშფოთებლად იზრდება მოზარდთა დანაშაული. სპორტის როლი ბავშვთა ჰარმონიულ აღზრდაში და თავისუფალ დროს მათ სასარგებლო დასაქმებაში კვლავაც აქტუალურია და არამც და არამც არ უნდა მოიხსნას დღის წესრიგიდან. საჭიროა ვეძიოთ მუშაობის ახალი ფორმები. ამ მხრივ ყველაზე რეალურად გვესახება მოზარდთა სპორტული კლუბების შექმნა უშუალოდ საცხოვრებელ ადგილებში. ამ გზას ვერ ავცდებით და, რაკი ასეა, რაც ადრე გადავდგამთ პრაქტიკულ ნაბიჯებს, მით უკეთესი. პრივატიზაციის პროცესში მხოლოდ სავაჭრო ობიექტებმა არ უნდა შთანთქან კორპუსების ქვეშ არასაცხოვრებელი ფართობი. შევიბრალოთ ჩვენი ბავშვები! განა რა მოვიგეთ იმით, რომ გაუქმდა სახლმმართველობებთან პედაგოგ-ორგანიზატორისა და სპორტის ინსტრუქტორის შტატები, სანაცვლოდ კი ვერაფერი მოვიფიქრეთ? დრო არ ითმენს. ვთხოვთ ხელისუფლებას, პარლამენტის ახალშექმნილ შესაბამის კომისიას — მივხედოთ მოზარდებს, შევუქმნათ სპორტში, მათთვის უშუალოდ საცხოვრებელ მიკრორაიონში, მეცადინეობის შესაძლებლობა. ხომ ყველა ხედავს — უყურადღებობა ძვირად გვიჯდება!

მივმართავთ მოსახლეობას, ქალაქის მერიას, სახლმმართველობებს, საუწყებო ბინების მფლობელებს, ყველას, ვისაც მოზარდების ბედი აუწყებს, გამოგვეხმაურეთ, მოგვაწვდინეთ ხმა, თუ სად შეიძლება გამოიყოს ადგილი ჭერქვეშ მოზარდთა სპორტული კლუბებისათვის. ინფორმაცია მოგვაწოდეთ „ლელოს" რედაქციაში ან დარეკეთ: 99-56-14, 99-56-47.

„ვინც ბაღლებს კეთილ-გონიერად ზრდის, იგია აღმზრდელი და გამაბედნიერებელი ერისა. ვინაიდგან სიყრმის დროს დათესილი კეთილი თესლი დიდობაში უხვად გამოიღებს ნაყოფს".

ვაჟა.

ლელო

23 დეკემბერი, ოთხშაბათი, 1992 წ.
№ 79 (10786) ● ფასი 3 მან.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მარჯი საქართველოს!

ზაურ ცხადაძე მსოფლიოს № 1 მკლავჭიდელია

ზაურ ცხადაძე

მსოფლიოს 1991-92 წლების ჩემპიონი მძიმე წონის მკლავჭიდელთა შორის, ზესტაფონელი ზაურ ცხადაძე უნივერსალური სპორტსმენია. მისმა გულშემატკივრებმა იციან, რომ ზაური დიდ სპორტში ხელბურთიდან მოვიდა, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაშიც საკმაო წარმატებებს მიაღწია. ხმის მერე, რა თქმა უნდა, ყველაზე შთამბეჭდავი გახლავთ მისი ვირტუოზული გამოსვლები მკლავჭიდში.

მრავალმხრივობა, თქვენ წარმოიდგინეთ, ახლაც გრძელდება. გასაკვირი არაა, როცა სპორტსმენი მოყვარულის დონეზე ერთდროულად ორ სახეობას მისდევს, მაგრამ, თუ იგი საერთაშორისო ასპარეზობებში გამოდის, უდავოდ იშვიათ ფენომენთან გვაქვს საქმე. ზაური ამომავალი მზის ქვეყანაში — იაპონიაში უფრო ხშირადაა ამ ბოლო დროს, ვიდრე მშობლიურ ზესტაფონში. ამას წინათ იაპონიის ერთ ქალაქში პროფესიონალ კიკბოქსინგისტთა ტურნირში გამოდიოდა ჩვენი გოლიათი. უამრავი მაყურებელი ესწრებოდა ამ სანახაობას, რომელიც, მოგეხსენებათ, კრივისა და ჭიდაობის სინთეზია. ზაურს კონტრაქტი აქვს გაფორმებული და, ჩვეულებრივ, ტელეფონით გამოძახებით მიდის იაპონიაში. მისი გამოჩენა პროფესიონალთა სარბიელზე განსაკუთრებულ სიმპათიებს იწვევს იაპონელ მაყურებელში. ეს კარგადაა ასახული ვიდეოფირზე, რომელიც ზაურმა ჩამოიტანა.

კიკბოქსინგისტთა ტურნირში მონაწილეობის მეორე დღეს ზაურ ცხადაძე მკლავჭიდელთა ასპარეზობაში უნდა გამოსულიყო. იგი ჩქარი მატარებლით გაემგზავრა ტოკიოს. მკლავჭიდის მსოფლიო ფედერაციის ეგიდით გამართული ეს დიდი საერთაშორისო ტურნირი ტოკიოს უზარმაზარ სპორტის სასახლეში ჩატარდა. ზაურ ცხადაძე წლეულს ისე გახდა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი, არსად გადაჰყრია დღემდე ყველაზე აღიარებულ, რეიტინგით № 1 მკლავჭიდელს, ამერიკელ ჯონ რიჩარდ ბრზენკს. ჩვენ ათლეტს უარყოფითი ბალანსი ჰქონდა მასთან პირად შეხვედრებში. მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ბრზენკი უფრო ხშირად კომერციულ ტურნირებში ამჯობინებს გამოსვლას.

და აი, ტოკიოში შედგა ამ ორი გოლიათის შეხვედრა. ამერიკელს უამრავი მაყურებელი გულშემატკივრობდა, ზაური კი ერთადერთი ქართველი იყო იქ მყოფთა შორის.

ამ შერკინებაში, ისე, რომ შანსიც არ დაუტოვა მეტოქეს, ბრწყინვალედ გაიმარჯვა ქართველმა ათლეტმა.

მკლავჭიდის მსოფლიო ფედერაციის ახალმა პრეზიდენტმა, ამერიკელმა ბობ ოლერმა ზაურ ცხადაძე იქვე აღიარა მსოფლიოს № 1 მკლავჭიდელად.

როგორც ამბობენ, ბრზენკს აღარც კი ახსოვდა, ბოლოს როდის დამარცხდა მკლავჭიდის მაგიდასთან.

გაბრიელ ბარჯაძე

● **ორი** თბილისელი — გია გიორგაძე და ედუარდ გუფელდი ასპარეზობენ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში, რომელიც პოდოლსკში გრძელდება. 4 ტურის მერე გუფელდს 2 ქულა აქვს, გიორგაძეს — 1,5. ლიდერობენ ალექსეი დრეევი, სერგეი ტივიაკოვი და მარატ მაკაროვი — 2,5 ქულა თითოეულს.

● **ბადენ**-ბადენის საერთაშორისო ტურნირი მოიგო მსოფლიოს ექსჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა. მან 11 შესაძლებლიდან 9,5 ქულა მოაგროვა.

● **პოკლიუკა (სლოვენია).** ბიატლონში მსოფლიო თასის სასტარტო ეტაპზე (ვაჟთა ესტაფეტა 4X7,5 კმ) უძლიერესი იყო ავსტრიის ნაკრები, რომელმაც საკმაოდ მაღალი შედეგი აჩვენა — 1:36, 47, 6 (და 1 საჯარიმო წუთი).

ინფორმაცია

● **ტრენტო (იტალია).** მსოფლიო თასის ეტაპზე ქალთა სათხილამურო ესტაფეტაში 4X5 კმ გაიმარჯვა ნორვეგიის გუნდმა — 57:50,4.

● **კრანსკა გორა (სლოვენია).** ახალგაზრდა შვედმა სამთომოთხილამურემ თომას ფოგდემ 26-ე დაბადების დღე ჩაუმწარა „სლალომის მეფეს", იტალიელ ალბერტო ტომბას. შვედი პირველი იყო სპეციალური სლალომის ტრასაზე — 1. 43, 20, ტომბა მას ჩამორჩა 0,28 წამით. გიგანტურ სლალომში ტოლი არ ჰყავდა 29 წლის ვეტერანს ლუქსემბურგელ ნარკ ჟირარდელის.

● **საპორო.** ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი მოიგო იაპონელმა აკირა ხიგაშიმ. დიდ ოლიმპიურ ტრამპლინზე მან შეასრულა ორი დიდებული ნახტომი 122 და 111,5 მეტრზე, რისთვისაც დაიმსახურა 234,4 ქულა. საერთო ჩათვლაში ლიდერობას ინარჩუნებს ავსტრიელი ვერნერ რატმაიერი, რომელიც ამჯერად მეორე იყო.

მიულოცეთ „ლელოს" ფურცლებზე

თუ გსურთ ახალი წელი, დაბადების დღე ან სხვა ღირსსახსოვარი თარიღი მიულოცოთ საქართველოს ამჟამინდელ და ვეტერან სპორტსმენებს, მწვრთნელებს და სპორტის მუშაკებს, თქვენს ახლობლებს, შეგიძლიათ მოგვმართოთ „ლელოს" რედაქციაში. მილოცვა გამოქვეყნდება გაზეთის იმ ნომერში, რომელიც თქვენთვისაა სასურველი.

ეროვნული თავდაცვის ფონდში

● **საქართველოს** სახელმწიფო კორპორაცია „ინტერსპორტლოტოს" მუშაკებმა პირადი დანაზოგიდან 10 000 მანეთი შეიტანეს თავდაცვის ფონდში. გარდა ამისა, სისტემატურად გადაირიცხება თანხები საიუბილეო ლატარია „სპორტლოტო-20"-ის ტირაჟებიდან.

● **ფიზიკური** კულტურის ინსტიტუტთან არსებული ჭიდაობის და აღმოსავლური ორთაბრძოლების პროფესიონალურმა კლუბმა „მორკინალი-92" (პრეზიდენტი რ. ოდიშელიძე) ეროვნული თავდაცვის ფონდში გადარიცხა 10 ათასი მანეთი.

მადლობა საახალწლო სურვილებით

საქართველოს რაგბის კავშირი მადლობას უხდის ფინანსური დახმარებისათვის გ. გობალავას (ფირმა „დარბაზი"), მ. გარუჩავას (ბანკი „მერკური"), ზ. ლოსაბერიძეს (ფირმა „მარაო"), გ. მრელაშვილს (მცხეთის ბანკი), მ. მინდაძეს (თბილისის განათლების სამმართველო), გ. პატარაიას (კონცერნი „გეოკო"), ი. გოგიჩაიშვილს (ფირმა „ვესტა"), ლ. ფირცხალაიშვილს (გაერთიანება „ლავრი"), ა. ქადაგიშვილს („კავკასიის კონცერნი"), კ. ჯიბლაშვილს (ასოციაცია „ერქვანი"), გ. ცინცაძეს („ჯანი", ჩოხატაური), ულოცავს ყოველ მათგანს მოახლოებულ ახალ წელს და უსურვებს შემდგომ წინსვლა-წარმატებებს თავიანთ საქმეში.

საქართველოს რაგბის კავშირი.

ზურაბ აზმაიფარაშვილი — უძლიერესებში

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა მსოფლიოს უძლიერესთა რეიტინგები. ამ სიის პირველ საფეხურს არა მარტო ინარჩუნებს მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი, არამედ მისი, ასე ვთქვათ, ქულათა რაოდენობა სარეკორდოცაა — 2805. იგი 80 ერთეულით ასწრებს მეორე ადგილზე მყოფ ანატოლი კარპოვს (ორივე — რუსეთი). ამ სიაში VIII ადგილზეა თბილისელი დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი (2625), რაც უთუოდ დიდი მიღწევაა საქართველოს მოჭადრაკეთა შორის საერთოდ. მესამე ადგილს იყოფენ ვასილ ივანჩუკი და ინდოელი ვიშვანათან ანანდი.

ქალებში პირველობას უნგრელი ჟუდით პოლგარი ინარჩუნებს, მას კვალში მიჰყვება მისი და ჟუჟა, რომლის მეორე პოზიციაზე დამკვიდრებას ხელი შეუწყო, აგრეთვე, ქალთა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ჯგუფურ ტურნირში წაუგებლად გამარჯვებამ. საქართველოს მოჭადრაკეთა შორის საუკეთესო მაჩვენებელი აქვს მსოფლიოს ექსჩემპიონს მაია ჩიბურდანიძეს — იგი მეოთხეა (შვედ პია კრამლინგსაც ჩამორჩება). შემდეგ მოდიან ჩინელი მსოფლიო ჩემპიონი სიე ჟუნი, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ფინალისტი ნანა იოსელიანი...

თადარიგი დროული სჯობს

მანამდე დიდი დროა — 10, 12, 14, 16 წლამდე მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატი გაისად ივნისის 25-დანაა დაგეგმილი უნგრეთში და 12 დღეს გაგრძელდება, მსოფლიო ჩემპიონატს კი 17-29 ივლისს ჩეხეთ-სლოვაკეთი უმასპინძლებს, ოღონდ აქ 18-წლიანების პირველობაც უნდა გაიმართოს. სწორედ ამ ორი დიდი ასპარეზობისთვის საქართველოს მოსწავლეთა შესარჩევი პირველობები გრძელდება თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის მხატვრული აღზრდის სასახლეში. ტურნირები, რომლებშიც (ასაკების მიხედვით) ადრე შერჩეული 6-7 გოგო და ჭაბუკი ცდის ძალებს. გამარჯვებულები ისე, როგორც წლეულს, მსოფლიო ჩემპიონატების საგზურებს მიიღებენ. მეორე ადგილებზე გასულნი — ევროპისა.

წლევანდელ მსოფლიოსა და ევროპის ანალოგიურ ტურნირებში საქართველოს მოსწავლე-მოჭადრაკეებმა ბევრით ვერაფრით გამოიჩინეს თავი — ერთი ჩემპიონი გვყავდა (მსოფლიოსი 12 წლამდე ასაკში — გიორგი ბახტაძე) და სა-

იხ. მე-4 გვ.

საქტელერადიოსა და საქართველოს უმაღლესი სკოლების საჭადრაკო ასოციაციის თაოსნობით ოპერისა და ბალეტის ეროვნულ თეატრში მოეწყო თბილისელების შეხვედრა ოლიმპიური თამაშების ქართველ ჩემპიონებთან და პრიზიორებთან.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

რეკორდსმენიდან — რეკორდსმენამდე

ვარდო ქუთათელაძე

...**წლები** გადიოდა. მატულობდა ნადეჟდა დვალიშვილის რესპუბლიკურ რეკორდებზე მოიერიშეთა რაოდენობა, რეალურ საფრთხეს კი მის მიღწევებს ვერავინ უქმნიდა — დიდხანს მათთან მიახლოებასაც ვერ ახერხებდნენ. ასე იყო ათ წელზე მეტს, ვიდრე 60-იან წლებში თბილისში ნიჭიერი გოგოების ახალი თაობა არ გამოჩნდა. მათ შორის გამოირჩეოდნენ გალინა კონონენკო და ვარდო ქუთათელაძე, რომელთაც სპრინტში დროდადრო მძაფრ კონკურენციას უწევდნენ თამარ როქმანოვა, ლუდმილა ბევლევა და, ცოტა გვიან, ნათელა ლომიძე, თუმცა როქმანოვასა და იევლევას ძირითადი სახეობა თარჯრბენი იყო — სწორედ ამ დისციპლინაში მიაღწიეს მათ თავიანთ საუკეთესო შედეგებს.

მოსწავლეთა ერთ-ერთ რესპუბლიკურ პირველობაზე მწვრთნელმა ვლადიმერ სუხოტინმა მითხრა: — დააკვირდი ამ გოგოს — ფინიშთან ყველაზე ადრე მისულ კანჭა, გამხდარ სპორტსმენზე მიმითითა, — მისგან ბევრია მოსალოდნელი, ბრწყინვალე ბუნებრივი მონაცემები აქვს.

სუხოტინი მწვრთნელთა იმ კატეგორიას ეკუთვნოდა, კარგად რომ არჩევენ თეთრსა და შავს. ამჯერად არც შემცდარა — ვარდო ქუთათელაძემ მალე დაიმკვიდრა ადგილი საქართველოს ნაკრებში. მას და სუხოტინს ხშირად ნახავდით თბილისის „დინამოს" სტადიონის სარბენ ბილიკებზე დაუღალავად მოვარჯიშეებს.

ორიოდე წლის მერე, როცა 1965 წელს ქუთათელაძე-სულოვიოვა-კონონენკო-როქმანოვას „კვარტეტმა" 4X100 მ ამანათბრენში საქართველოს რეკორდი (48,2 წმ) დაამყარა, ქუთათელაძეს ინტერვიუ ჩამოვართვი. სხვათა შორის, ისიც ვკითხე, შინ როგორ უყურებენ მძლეოსნობით თქვენს გატაცებას-მეთქი.

— მამა ფიზაღზრდის მასწავლებელია. სპორტის ყველა სახეობის ყადრი იცის. კალათბურთის თამაშს მირჩევდა, მე კი მძლეოსნობა ვამჯობინე. ალბათ, არც შევმცდარვარ — სისწრაფე მიყვარს, მსიამოვნებს. როცა მეტოქეებს ჩამოვიტოვებ ხოლმე, მეტოქენი კი მართლაც ძლიერები მყავს.

სამომავლოდ რას ფიქრობთ?

— სპრინტში ნადია დვალიშვილის რეკორდების გაუმჯობესებას ვისახავ მიზნად, ისე კი, ცხოვრებაში კარგი ექიმი მინდა გავხდე...

და ვარდო წვრთნასა და სწავლაში ათენ-ალამებდა. უკვე ერთი წლის მერე, როცა მათ ოთხეულში სოლოვიოვა იევლევამ შეცვალა, საქართველოს რეკორდი რამდენჯერმე განახლდა — კისლოვოდსკში 47,2 წამი აჩვენეს (აქვე ვიტყვით: ქუთათელაძე იმ, 1966 წელს, სხვადასხვა „კვარტეტში" შვიდჯერ იყო რესპუბლიკის 10 საუკეთესოს შორის), მომდევნო წელს კი მოსკოვში ადრინდელ მიღწევს 0,1 წამი „ჩამოაჭრეს". ვარდო მუდამ ყველაზე საპასუხისმგებლო, IV ეტაპზე დარბოდა ხოლმე. ერთი სიტყვით, ამანათრბენში რეკორდები რეკორდებს მისდევდა, 100 და 200 მეტრზე რბენაში კი...

რამდენიმე ფაქტი შედარებისათვის. ნ. დვალიშვილის მიღწევები ასეთი იყო: 100 მ — 11,7, 200 მ — 24,1. 1965 წელს კონონენკოცა და ქუთათელაძეც 17-17 წლისანი იყვნენ და სათავეში მოექცნენ სეზონის შედეგების მიხედვით საქართველოს 10 საუკეთესო მძლეოსნის სიას (სხვათა შორის, ამ სტატისტიკას დიდი გულმოდგინებით აწარმოებდა მძლეოსნობის ცნობილი სპეციალისტი, აწ განსვენებული ლევან გიორგაძე). მაშინ 100 მეტრზე ორივეს საუკეთესო მაჩვენებელი 12,0 წამი იყო, 200 მეტრზე — 25,6 და 25,5 შესაბამისად. ვარდოს ერთი წელი დასჭირდა 100 მეტრზე რბენაში 12-წამიანი ზღვარის დასაძლევად, ორჯერ უფრო გრძელ მანძილზეც 0,5 წამით გააუმჯობესა პირადი მიღწევა. მომდევნო სეზონში ვარდომ 100 მეტრზე კიდევ 0,1 წამი „ჩამოიკლო" — 11,8 წამი აჩვენა (ასეთივე შედეგი ჰქონდა მის მუდმივ მეტოქეს კონონენკოსაც), 200 მეტრზე კი (24,8) იგი ყველასთვის მიუწვდომლად დარჩა რესპუბლიკაში.

იმ წელს თბილისში იუნიორთა საკავშირო პირველობა ჩატარდა. ჩვენებიდან მძაფრ კონკურენციას მხოლოდ ქუთათელაძემ გაუძლო და, როცა გაიმარჯვა, ათასობით გულშემატკივართან ერთად (მაშინ შეჯიბრებას მაყურებელი არ აკლდა) მამამისიც ხარობდა.



ვარდო ქუთათელაძე სტარტზე.

ფოტო „ლელოს" არქივიდან.

ნანატრი დღეც დადგა: ჩეხოსლოვაკიაში, რკინიგზელ მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატზე (ქუთათელაძე „ლოკომოტივის" წევრი იყო) 100 მეტრზე რბენაში ერთბაშად 0,3 წამით გააუმჯობესა პირადი მიღწევა — 11,5 აჩვენა. ეს 0,2 წამით სჯობდა დვალიშვილის რეკორდს, რომელიც 16 წელს ასე მყარად „იდგა".

— მაშინ განვიცადე ყველაზე დიდი სიხარული, რომელიც სპორტსმენმა მომანიჭა. სხვა მიღწევებიც მქონდა, მაგრამ დვალიშვილის რეკორდის გაუმჯობესება გამორჩეული იყო,— იგონებს ვარდო, როცა საუბარი განვლილ სპორტულ გზაზე ჩამოვარდება ხოლმე.

ქუთათელაძე დიდი სპორტიდან ისე წავიდა, მთლიანად არ გახარჯულა, უეჭველია, კიდევ ბევრის გაკეთებას შეძლებდა, მაგრამ...

— სამედიცინო ინსტიტუტში სწავლამ მოითხოვა, მთელი ყურადღება მკურნალის პროფესიის საფუძვლიანი შესწავლისთვის დაეთმო, — მერე გავთხოვდი. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ სპორტული ოჯახი მაქვს — მეუღლე ოთარ ყიფიანი, ოსტატი ათჭიდში და ორი ვაჟიც მძლეოსნობის თაყვანისმცემლები არიან. უფროსმა ვაჟმა — ზურაბმა უკვე მოიპოვა ოსტატობა, მესამე ჯერ პატარაა, მაგრამ, ეჭვი არ მეპარება, უსპორტოდ არც ის დარჩება. მე ექიმი ვარ და შესანიშნავად ვიცი — ადამიანის ჯანმრთელობისთვის ფიზკულტურას და სპორტს ვერანაირი წამალი ვერ შეცვლის...

თუ ჯანმრთელობისა და ფიზკულტურის ურთიერთკავშირზე ჩამოვარდება საუბარი, ვარდო გიპასუხებთ:

— ახალს ვერაფერს ვიტყვი, გავიმეორებ მრავალი საუკუნის წინ ნათქვამს, იდეალი ერთია — ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული. დასანანია, რომ თანამედროვე მოზარდების უმეტესობას, მათ მშობლებს არ ესმით ეს ჭეშმარიტება, სათოფეზე არ ეკარებიან ფიზკულტურასა და სპორტს, საათობით ტელევიზორებთან ჯდომას ამჯობინებენ. თბილისი (და საერთოდ საქართველო) ლამის „გადაჭამოს" ვიდეომ, ამიტომაც გახშირდა ახალგაზრდებში გულ-სისხლძარღვთა დაავადებანი, გაზულუქდნენ, წონაში დაკლებას რაღაც საეჭვო დიეტებით ცდილობენ, არადა, ხსნა მხოლოდ ფიზკულტურასა და სპორტშია...

ცხადია, იმასაც დასძენს, რომ დამოუკიდებელ საქართველოს ახლა განსაკუთრებით სჭირდება სწრაფი, მოქნილი, ამტანი, ონიერი ახალგაზრდები; სჭირდება სამშობლოს დასაცავად, მისი ერთიანობის შესანარჩუნებლად, საერთაშორისო სარბიელზე ქართული სპორტის მდიდარი ტრადიციების გასაღრმავებლად და განსამტკიცებლად....

ოთარ ბელაშვილი

მეოთხე წერილი

არდავიწყება...

ცნობილი მოჭიდავის, ბატონ აკაკი ოქროპირიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი „შევარდენის" ძიუდოსა და სამბოს ოლიმპიური რეზერვების რესპუბლიკური სპორტული სკოლის, ჭაბუკ სამბისტთა (1976-77 და 1978-79 წლებში დაბადებულნი) ღია პირველობის მონაწილენი, მართლაც გამოირჩეოდნენ მონდომებით... რა ილეთს არ ნახავდით აქ — მოგვერდი, კისრული, სარმა, შუაკაური... ერთი სიტყვით, დარბაზში მოსული მაყურებელი უკმაყოფილო ნამდვილად არ დარჩენილა.

აკაკი ოქროპირიძის სახელობის და საუკეთესო ტექნიკისთვის დაწესებული პრიზი გადაეცა მარნეულელ გია გუგავას. ამ ტურნირზე ა. ოქროპირიძის პრიზის გარდა დაწესებული იყო კიდევ თოთხმეტი ნაადრევად დაღუპული მოჭიდავის სახელობის პრიზები. მართლაც რომ ღვთისნიერი საქმეა — ნორჩებს ხომ თავიდანვე უნდა ჩავუნერგოთ მოყვასისა და იმ ადამიანთა სიყვარული და პატივისცემა, ვინც თავისი მხრებით ზიდა და ჩვენამდე მოიტანა ქართული სპორტის ღირსება.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს. 1976-77 წ. წ. დაბადებულნი. **45 კგ.** აჩიკო ამირანაშვილი (თბილისი), **50.** კობა არჩვაძე (გორი), **55.** სოსო გვარლიანი (საგარეჯო), **60.** აკაკი ჩიმჩიური (ქარელი), **65.** ბესიკ გვარლიანი (საგარეჯო), **71.** მალხაზ შერაზადაშვილი (ქარელი), **+78.** დიმიტრი ჩატოევი (თბილისი).

1978-79 წ. წ. დაბადებულნი. **29 კგ.** აკაკი სომხიშვილი, **32.** თორნიკე ნადირაშვილი, **35.** დავით ქუმსიაშვილი, **38.** ლერი მარგიანი, **41.** ლევან რეხვიაშვილი, **45.** თემურ გივიშვილი, **48.** დავით ჯავახიშვილი, **52.** ლაშა რობაქიძე, **56.** თემურ ნანიაშვილი, **59.** მიხეილ პაპაშვილი, **62.** გია ჯოხაძე (ყველა — თბილისი), **+68.** გია გუგავა (მარნეული).

ბაზეთი „აშიკი":

„ლეა ქურჩიშვილი — დაიხსომეთ ეს სახელი"

ასე დაასათაურა ისრაელის პოპულარულმა ყოველკვირეულმა ჟურნალმა „აშიკმა" თავის ფურცლებზე დასტამბული მასალა, თან მომხიბლავი ჩოგბურთელი გოგონას ფოტოც დაურთო.

ლ. ქურჩიშვილი 11 წლისაა, ვარჯიშობს ისრაელის ქალაქ ბა-იამეში, კლუბ „კანტრიში". მისი მწვრთნელის მიკი ზანგარის აზრით, გოგონა ერთობ ნიჭიერია და უახლოეს მომავალში ბევრს გააცნობს თავს. ლეა წელიწადნახევრის წინ ჩავიდა ისრაელში საქართველოდან, სადაც მისი მწვრთნელი გურამ თოხაძე გახლდათ.

შარშან ლეა ქურჩიშვილმა მეხუთე ადგილი დაიკავა ისრაელის პირველობაზე, წელს კი უკვე მესამე იყო თელ-ავივში გამართულ ქვეყნის ჩემპიონატში.

საქართველოს ჩემპიონატი ფრენბურთში ● ვაჟები ● ქალები

მთავარი მაინც ფულია...

იყო დრო, სპორტის ბევრ სახეობაში თითო გუნდის იმედად ვიყავით, რამაც დღეს ბევრი საზრუნავი გაგვიჩინა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ფრენბურთელთა მე-3 ეროვნული ჩემპიონატის დღეებში ვესაუბრეთ რესპუბლიკის ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტს გიული ჯალაღანიას.

● ქალბატონო გიული, თქვენ, ასე ვთქვათ, „ახალი" თანამშრომელი ბრძანდებით ფრენბურთის ფედერაციაში, რადგან წლების მანძილზე სხვა სამუშაოებზე ბრძანდებოდით. როგორი მდგომარეობა დაგხვდათ მოსვლისას?

— მუშაობა რომ დავიწყე, სპორტის ამ მართლაც ულამაზეს სახეობას თითქმის არაფერი გააჩნდა — არც ბაზა, არც ინვენტარი, არ იყო გუნდები... მექანიზმი დანგრევის პირას გახლდათ მისული, სახლ-კარიც არ გაგვაჩნდა. პირველსავე სხდომაზე მიზნად დავისახეთ მაქსიმალურად გამოგვესწორებინა საქმე. მალე შეძლებით ყველა რგოლის ამუშავება. საქართველოს პირველ სპორტულ თამაშებზე შემოვიარეთ მთელი რესპუბლიკა, გამოვამზეურეთ ფრენბურთში არსებული შუქ-ჩრდილები. ადრე საქართველოში არსებული 18 გუნდიდან ჩვენს ოჯახს გამოაკლდა ცხრა: სამი — აფხაზეთიდან, ორ-ორი სამეგრელოდან და სამაჩაბლოდან, ორიც — აჭარიდან. დაგვრჩა თბილისის, ქუთაისის, გორის, თელავის, ყვარლის, რუსთავისა და დიდი ჯიხაიშის გუნდები. ფედერაციის ყოველდღიური საზრუნავია მუშაობის გამოცოცხლება. მოგეხსენებათ უკვე ჩავატარეთ ორი ეროვნული ჩემპიონატი, გავწევრიანდით საერთაშორისო ფედერაციაში.

● რა მდგომარეობაა ნაკრებ გუნდებში?

— საქართველოს ვაჟთა ნაკრებს სათავეში კვლავ ვაჟა კაჭარავა უდგას. ახალგაზრდებისას — ალექსანდრე მუხინი. ქალთა გუნდს ცისანა აბუაშვილი ავარჯიშებს, გოგონებს — ვასილ ტკაჩენკო. უნდა გითხრათ, რომ გუნდები მონდომებით მეცადინეობენ, მაგრამ, სამწუხაროდ, საერთაშორისო შეჯიბრებებში ვერ მონაწილეობენ. ამის მიზეზი გახლავთ როგორც უსახსრობა, ისე ყველასთვის კარგად ცნობილი სიტუაცია. ჩვენი მიზანია ახალგაზრდებმა რაც შეიძლება ბევრი ითამაშონ. ფრენბურთის ოლიმპიური რეზერვის სპორტულ სკოლაში ადრე მუშაობდა ცნობილი მწვრთნელი გიზო იმნაძე, რომელიც ახლა პენსიაზეა. იგი შეცვალა ახალგაზრდა გია ლომიშვილმა, რომელზედაც დიდ იმედებს ვამყარებთ.

ადრე საკუთარი ბაზა არ გვქონდა, მაგრამ სპორტკომიტეტის თავმჯდომარის კახი ასათიანის უშუალო ჩარევით მალე გადმოგვეცემენ ფრენბურთის ღია მოედანს. დიდი იმედები გვქონდა ბავშვთა ქალაქ „მზიურში" მშენებარე ფრენბურთის სასახლისა, მაგრამ მშენებლობა შეჩერებულია. ახლა ერთი საზრუნავი დაგვრჩა — ვეძებთ ორგანიზაციას, ვიგებ ვინმემ აგვიშენოს ის სასახლე.

● როგორც ცნობილია, ფედერაციები აახლიბენ მუშაობას, ხაკლუბო სისტემაზე გადადიან. თქვენთან როგორ არის ამ მხრივ საქმე?

— ჩვენი მუშაობა ძირითადად კლუბებზე გადავიდა. ჩემპიონატსაც ევროპულ ყაიდაზე ვატარებთ, შემოდგომა-გაზაფხულის პრინციპით. კლუბები ჩამოყალიბებულია გორში ეკონომიკურ ინსტიტუტთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. საავიაციო ქარხანასთან არსებულმა სახალხო მოხმარების საგნების საწარმომ (დირექტორი სანდრო „წიკლაური") შეიკედლა საქართველოს ქალთა ნაკრების საბაზო გუნდი „შევარდენი". კლუბები ჩამოყალიბდა, აგრეთვე, ყვარელში, დიდ ჯიხაიშში, ქუთაისში...

— სამუშაოდ გადავედი კლუბ „შევარდენში" (პრეზიდენტი თემურ გოგოლაძე) — გვითხრა საქართველოს ფრენბურთელ ქალთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ცისანა აბუაშვილმა — ვცდილობ, ეს კლუბი საქართველოს ნაკრების საბაზო გუნდი გახდეს. კლუბის ხელმძღვანელებმა მოთამაშეებს ხელფასი დაუნიშნეს. ნურავინ იფიქრებს, რომ ვინაიდან ნაკრების საბაზო გუნდი ვიქნებით, ვიმეს დავჩაგრავთ. ყველაფერს ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ გავაკეთებთ, მთავარია, სტიმული გვაქვს.

ვაჟთა ნაკრების მწვრთნელმა ვაჟა კაჭარავამ მირჩია, ჩემთან საუბარს ეგებ ნაკრების წევრებს გაესაუბროთო. ბიჭებმა გულისტკივილით აღნიშნეს, რომ ორი წელია თავდაუზოგავად ვვარჯიშობთ, მეტი არაფერი გვახსოვს, მაგრამ საშუალება არა გვაქვს ჩვენი თამაში ვაჩვენოთ სხვა ქვეყნებსაცო. გაისად ბუდაპეშტში მსოფლიო უნივერსიადა ტარდება, როგორც ჩვენმა ფრენბურთელებმა თქვეს, შეუძლიათ ლამაზადაც ითამაშონ და მაღალი ადგილიც დაიკავონ, მაგრამ გასამგზავრებლად თანხებია საჭირო, რაც მათ არ გააჩნიათ. ისიც მითხრეს; ოღონდ გზის ფული გამოგვიჩნდეს და კვებაზე არავის შევაწუხებთო. ისე, ჩვენი აზრით, თუ ვინმე გაუწევს საქართველოს ნაკრებს სპონსორობას, წაგებული არ დარჩება. ამაში დავრწმუნდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდების შეხვედრაში (ძირითადად ამ ორ გუნდში არიან საქართველოს ნაკრების წევრები), რომელიც მართლაც უაღრესად დაძაბული და მიმზიდველი გამოდგა. პირველი ორი პარტია სტუ-მ მოიგო, მაგრამ თსუ-მ შეძლო საბოლოოდ გამარჯვება 3:2.

ტექნიკური შედეგები

18 დეკემბერი. ქალები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი — ფრენბურთის სპორტული სკოლა 3:0 (15:12; 15:2; 15:4), ფიზკულტურის ინსტიტუტი — აგრარული უნივერსიტეტი 1:3 (13:15, 15:11, 12:15, 13:15). ვაჟები. თსუ — სპორტსკოლა 3:0 (15:6; 15:3; 15:10). ფიზკულტურის ინსტიტუტი — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 3:1 (15:13; 16:17; 15:8; 15:5). **19 დეკემბერი.** ქალები. სპორტსკოლა — აგრარული უნივერსიტეტი 0:3 (2:15; 1:15; 5:15), ფიზკულტურის ინსტიტუტი — თსუ 3:0 (15:6; 15:10; 15:2). ვაჟები. სპორტსკოლა — სტუ 0:3 (13:15; 7:15; 12:15). ფიზკულტურის ინსტიტუტი — თსუ 0:3 (4:15; 6:15; 9:15).

20 დეკემბერი. ქალები. ფიზკულტურის ინსტიტუტი — სპორტსკოლა 3:0 (15:10; 15:9, 15:10), თსუ — აგრარული უნივერსიტეტი 3:0 (15:2; 15:10, 15:6). ვაჟები. ფიზკულტურის ინსტიტუტი — სპორტსკოლა 3:0 (15:13; 15:9; 15:9), თსუ — სტუ 3:2 (13:15; 14:16; 16:14; 15:6; 15:11).

მარკო ვან ბასტენი —

„ფრანს-ფუტბოლის“ ლაურეატი მესამედ

ფრანგულ ჟურნალ „ფრანს-ფუტბოლს“ დაწესებული აქვს საერთაშორისო ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პრიზი „ოქროს ბურთი“, რომელსაც იგი აგერ უკვე 37 წელიწადია ანიჭებს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს.

1992 წლის „ოქროს ბურთი“ მიაკუთვნა, უკვე მესამედ, ცნობილ ჰოლანდიელ ფეხბურთელს, იტალიის „მილანის“ ფორვარდს მარკო ვან ბასტენს.

მ. ვან ბასტენი მესამე ფეხბურთელია ჰოლანდიელი იოჰან კრუიფისა და ფრანგი მიშელ პლატინის შემდეგ, რომელიც სამჯერ დაეუფლა ამ პრიზს (ადრე მას „ოქროს ბურთი“ მიღებული ჰქონდა 1988 და 1989 წლებში).

კენჭისყრის შედეგად მ. ვან ბასტენმა მიიღო 98 ხმა და 18 ქულით გაუსწრო ბულგარელ ხრისტო სტოიჩკოვს, რომელიც ამჟამად ესპანეთის „ბარსელონაში“ გამოდის. საუკეთესოთა შორის არიან, აგრეთვე, ჰოლანდიელი დენის ბერგკამპი („აიაქსი“) — 53 ქულა, გერმანელი თომას ჰესლერი (იტალიის „რომა“) — 42, დანიელი პიტერ შმაიხელი (ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი“) — 41.

სურათზე: ვან ბასტენი.

გერმანელი ფეხბურთელები სამხრეთ ამერიკაში

პორტუ-ალეგრი. ბრაზილიის ამ ქალაქში შედგა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონების ბრაზილიისა და გერმანიის ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა.

გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა — 3:1. მათგან ბურთები გაიტანეს ლუის ენრიკემ, ბებეტომ და ჟორჟინიომ, ხოლო გერმანელთაგან — ზამერმა.

მონტევიდეო. ურუგვაის დედაქალაქში გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში, სადაც მასპინძლები შეხვდნენ გერმანიის ნაკრებს. ევროპელმა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 4:1. პირველ ტაიმში ანგარიში გახსნა ბუხვალდმა, შემდეგ ბურთები გაიტანეს მელერმა, ჰესლერმა და კლინსმანმა. მხოლოდ თამაშის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე შეძლო ურუგვაელმა მორანმა ერთი ბურთის გატანა.

ტყუპები ერთმანეთს დაშორდნენ

ტყუპი ძმები — 22 წლის ოლაფ და ნილს შმელერები შარშანდელ სეზონში გერმანიის ჩემპიონ „შტუტგარტის“ შემადგენლობაში თამაშობდნენ.

ახლა მათი გზები გაიყარა. ოლაფი თავდამსხმელია და იგი მეორე ბუნდესლიგის კლუბ „ჰალდჰოფში“ გადავიდა, ხოლო მცველი ნილსი — დრეზდენის „დინამოში“.

პარიზი. საფრანგეთის ეროვნულ ჩემპიონატში წარმატებით თამაშობს ხორვატი ალენ ბოშკიჩი, რომელმაც მარსელის „ოლიმპიკის“ წევრთაგან ერთადერთი გოლი გაიტანა პარიზის „პარი სენ-ჟერმენის“ კარში და გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს. მის ანგარიშზე ახლა 7 გატანილი ბურთია 19 ტურში.

ამ ტურის ტექნიკური შედეგები ასეთია: „ოსერი“ — „ჰავრი“ 4:1, „ტულუზა“ — „ნანტი“ 2:0, „ლიონი“ — „მონაკო“ 0:0, „კაენი“ — „სტრასბურგი“ 3:0, „ლილი“ — „ნიმი“ 2:2, „ვალანსიენი“ — „სენტ-ეტიენი“ 0:0, „მეტცი“ — „ბორდო“ 1:1, „ტულონი“ — „ლანსი“ 2:2, „მონპელიე“ — „სოშო“ 1:0.

ჩემპიონატები, მატჩები...

ლონდონი. ინგლისის ჩემპიონატის XX ტურში „ლივერპულმა“ სტუმრად ანგარიშით 1:5 წააგო „კოვენტრისთან“. ასეთი მარცხი, როგორც იტყობინებიან, „ლივერპულს“ არ განუცდია ბოლო 20 წლის მანძილზე.

ამ ტურის სხვა შედეგები: „მანჩესტერ „იუნაიტედი“ — „ჩელსი“ 1:1, „არსენალი“—„მიდლსბრო“—1:1, „ბლეკბერნი“ — „შეფილდ იუნაიტედი“ 1:0, „ევერტონი“ — „საუთჰემპტონი“ 2:1, „მანჩესტერ სიტი“ — „ასტონ ვილა“ 1:1, „ოლდჰემი“ — „ტოტენჰემი“ 2:1, „შეფილდ უენსდეი“ — „ქუინზ პარკი“ 1:0.

ლიდერობს „ნორვიჩი“ — 39 ქულა, მეორე ადგილზეა „ასტონ ვილა“ — 35.

ლისაბონი. განვლილ შაბათს პორტუგალიის ჩემპიონატში გაიმართა მხოლოდ ერთი შეხვედრა: ლისაბონის „ბენფიკამ“ ანგარიშით 4:0 დაამარცხა „ეშტორიალი“.

მადრიდი. საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო „სევილიას“ და მადრიდის „რეალის“ შეხვედრა. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა „სევილიამ“. სევილიის შემადგენლობაში ბრწყინვალედ ითამაშა არგენტინელმა დიეგო მარადონამ. მატჩი სერიოზული ინციდენტებით აღინიშნა, რისთვისაც არბიტრმა წითელი ბარათები უჩვენა სამ მადრიდელ და ერთ სევილიელ ფეხბურთელს.

ამსტერდამი. ჰოლანდიის ჩემპიონატში ლიდერის პოზიცია განიმტკიცა „ეინდჰოვენმა“, რომელმაც XV ტურში დაამარცხა „ვიტესი“ — 1:0. „გოუ ეჰედ იგლზმა“ მოუგო „როდას“ — 2:0.

„ეინდჰოვენს“ ამჟამად 26 ქულა აქვს, 6-6 ქულით ნაკლები მოაგროვეს „მაასტრიხტმა“ და „უტრეხტმა“.

ფული იხარჯება, სახელი რჩება

თუკი 1991-92 წლების სეზონში ფეხბურთის რომელიმე სპეციალისტმა მიაღწია განსაკუთრებულ წარმატებებს, ეს დანიის ნაკრების ხელმძღვანელ რიჰარდ მელერ-ნილსენსა და „ბარსელონის“ მწვრთნელ იოჰან კრუიფზე ითქმის („ბარსელონამ“ 1992 წელს ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა). დღეს გთავაზობთ რამდენიმე ნაწყვეტს ი. კრუიფის ერთ-ერთი ინტერვიუდან.

● **ყველაზე უკეთესი გუნდი, სადაც თქვენ გითამაშიათ?**

— ამსტერდამის „აიაქსი“.

● **ყველაზე უკეთესი გუნდი, რომლის წინააღმდეგაც მოგიხდათ თამაში?**

— 70-იანი წლების „ბენფიკა“, როცა იქ ეუსებიო, ტორესი და მათი პარტნიორები გამოდიოდნენ.

● **რატომ თამაშობდით მე-14 ნომრით?**

— ამას გულშემატკივრების სურვილით ვაკეთებდი.

● **თქვენი საყვარელი ქალაქი?**

— ბარსელონა, სადაც ამჟამად ვცხოვრობ.

● **რომელი ქალაქი არ გიყვართ ყველაზე მეტად?**

— განა ასეთი ქალაქებიც არსებობენ?

● **თქვენი საყვარელი სასმელი?**

— წყალი.

● **თქვენი საყვარელი მწერალი?**

— ოლადესი. თუმცა, თქვენ მის შემოქმედებას, ალბათ, არ იცნობთ.

● **საყვარელი მხატვარი?**

— ვან გოგი.

● **მსახიობი?**

— პოლ ნიუმენი.

● **მსახიობი ქალი?**

— ნატალი ვუდი.

● **თქვენ ენაზე ლაპარაკობთ, რომელ ენაზე ფიქრობთ?**

— იმ ენაზე, რომელზეც მოსაუბრეს ველაპარაკები.

● **რა არის თქვენთვის მთავარი ფეხბურთში — ჩემპიონობა თუ სხვა რამე?**

— ფეხბურთს იმიტომ ვთამაშობთ, რომ მაყურებლებს სიამოვნება მოვუტანოთ. მთავარი ეს გახლავთ, ჩემპიონობა კი მეორადია.

● **მართალია თუ არა, რომ ჩემპიონთა თასის მოპოვებისთვის „ბარსელონას“ თითოეულმა მოთამაშემ ჯილდოდ 250 ათასი დოლარი მიიღო?**

— ჩვენთვის ფული მთავარი არ არის, მთავარია პრესტიჟი. როცა „აიაქსში“ ვთამაშობდი, სამჯერ მოვიგე ჩემპიონთა თასი. ასეთი წარმატება ცოტა ვინმეს თუ ჰქონია. ამ გამარჯვებისათვის მიღებული პრემიები კარგა ხანია დაიხარჯა, სპორტული სახელი კი დარჩა.

● **ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ თქვენ ნაკრების მწვრთნელობა შემოგთავაზათ. რატომ თქვით უარი?**

— ლაპარაკი იყო 1994 წელზე. ჯერ იქამდე ვიცოცხლოთ...

იოჰან კრუიფი (სურათზე მარჯვნივ) ესპანეთში „ნატურალიზებული“ ჰოლანდიელია, რომელიც ცნობილ საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ წვრთნის. ხოსე მანუელ მორენო (მარცხნივ) მკვიდრი ესპანელია, რომელმაც დიდი უპირატესობით მოიგო ბარსელონაში ველოსიპედისტთა ოლიმპიური ტურნირი (1000 მეტრზე გიტში) და ადგილობრივი გულშემატკივრების ენით აუწერელი სიხარული გამოიწვია. ამ მომენტს, როცა კრუიფი ულოცავს გამარჯვებას მორენოს, უამრავი ფოტორეპორტიორი დაესწრო...

● **როგორ უყურებთ დოპინგის პრობლემას ფეხბურთში?**

— „ბარსელონაში“ ასეთი პრობლემა საერთოდ არ არსებობს. მე კარგად ვიცნობ ჩემს მოთამაშეებს და სავსებით ვენდობი მათ.

● **გაქვთ თუ არა კონტაქტი ჰოლანდიის 1974 წლის ნაკრების ფეხბურთელებთან?**

— ჩვენ ვმეგობრობდით და მეგობრებად დავრჩით.

● **ფეხბურთი მთავარია თქვენს ცხოვრებაში?**

— ცხოვრებაში ბევრი რამაა ფეხბურთზე უფრო მნიშვნელოვანი. ისე კი გეტყვით, რომ მე არ მომწონს მწვრთნელად მუშაობა...

და ამას ამბობს მწვრთნელი, რომელსაც ამ დარგში შესანიშნავი წარმატებები აქვს... თუმცა, გავიხსენოთ ისიც, რომ კრუიფს ამ ასპარეზზე დიდი სიმწარეც უნახავს.

მოამზადა **ბივი ბამრეკელმა.**

ხელოვანის გახსენება

სპორტის და მუსიკის სიყვარულით ცხოვრობდა

არჩილ კერესელიძე! ქართული ხელოვნების სამყაროში კარგადაა ცნობილი ამ თვალსაჩინო შემოქმედის, კომპოზიტორის სახელი. მაგრამ იქნებ დღეს ბევრმა არც იცის, რომ ბატონი არჩილი ჯერ სპორტსმენი და შემდგომში, როგორც კომპოზიტორი, სიცოცხლის ბოლომდე სპორტის ერთგულ მსახურად დარჩა.

— ფეხბურთელთა უფროს თაობას კარგად ახსოვს არჩილ კერესელიძე. 30-იან წლებში იგი გამოდიოდა თბილისის სხვადასხვა გუნდში, შემდეგ მთელი სერიოზულობით გაიტაცა მუსიკამ და აქაც ნაკლები სამსახური როდი გაუწია ქართულ სპორტს — ამბობს წარსულში ცნობილი ფეხბურთელი მიხეილ ჯოჯუა.

50-60-იან წლებში საქართველოში არ მოწყობილა არც ერთი ფიზკულტურულ-სპორტული დღესასწაული არჩილ კერესელიძის მუსიკის გარეშე. იგი დიდი სიყვარულით ქმნიდა ახალ-ახალ ნაწარმოებებს, რომლებიც რესპუბლიკის გარეთაც არაერთხელ აჟღერებულა.

ხვალ ვალმოხდილ მამულიშვილს 80 წელი შეუსრულდებოდა.

საქართველოს სპორტსმენთა კავშირი.

● **მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში**

გასულ კვირადღეს აფრიკის ზონაში გაიმართა 1994 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის 5 შესარჩევი შეხვედრა:

„ა“ ჯგუფი. განა-ალჟირი 2:0

„ც“ ჯგუფი. ზიმბაბვე — ეგვიპტე 2:1

„ე“ ჯგუფი. ეთიოპია — ბენინი 3:1

„უ“ ჯგუფი. გაბონი — სენეგალი 3:2

„ნ“ ჯგუფი. ტანზანია — ნამიბია 2:0

„კითხვა-პასუხი“ პროფესიონალურად

კვირას გამართულ საქართველოს პროფესიონალ მოკრივეთა ამ ტურნირს რამდენიმე კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი. კერძოდ, უნდა გამოვლენილიყო ის პრეტენდენტი, ახალცხებულ ჩემპიონს სამუკა გოგოლაურს (69 კგ) რომ შეეცილება უძლიერესის ტიტულს, რომელიც მან ამ შემოდგომაზე აქვე, სპორტის სასახლის რინგზე მოიპოვა. მომდევნო, 72 კგ წონაში კი საქართველოს ჩემპიონმა, თბილისელმა თემურ კეკელიძემ „საჯაროდ“ დაიცვა ეს წოდება, რომლის „წართმევას“ ცდილობდა ახალგაზრდა ფოთელი მოკრივე ანზორ დანელია.

ეტყობა, ცნობილი ფოთელი სპორტსმენი კობა გოგოლაძე „შორიდან უვლის“ პროფესიულ რინგს და ამჯერად მასპინძელ ჟან შატვაროვთან მხოლოდ კომერციული შეხვედრა გამართა 61 კგ წონაში.

სხვათა შორის, ამ დღეს კრივის მოყვარულებს საშუალება ჰქონდათ ტოტალიზატორის მეშვეობით გამოემჟღავნებინათ თავიანთი ალღო და ერუდიცია სპორტის ამ სახეობაში.

გოგოლაძე-შატვაროვის ბრძოლა ერთობ ხანმოკლე გამოდგა — ფოთელმა მოკრივემ წუთსა და 36 წამში ძირს დასცა მეტოქე, რომელმაც ბრძოლის გაგრძელებაზე უარი განაცხადა.

მსაჯები ერთსულოვანნი იყვნენ ახალგაზრდა თბილისელის ლერი ძებნიაურისა და ფოთელი ვეტერანის დავით დავთიანის ორთაბრძოლის შეფასებისას — გამარჯვება (118:116) მიენიჭა რინგის მასპინძელს.

ამ დღეებში ორმოცდაათიანი წლების ერთ-ერთ უძლიერეს ქართველ მოკრივეს გივი დარბაისელს 60 წელი შეუსრულდა. სპორტის სასახლეში შეკრებილებმა გულთბილად მიულოცეს ვეტერანს საიუბილეო თარიღი, საქართველოს კრივის ფედერაციამ მას გადასცა სამახსოვრო საჩუქარი და დიპლომი.

უშანგ ჩიჩინაძე

შეხვედრა რესტორანში

ლონდონის რესტორანი „სიმპსონსი“ 1828 წლიდან მოყოლებული, ჭადრაკის მოყვარულთა თავშეყრის საყვარელი ადგილია. აქ ჰიქა ყავის სმის დროს შეგიძლიათ გაიგოთ ნებისმიერი სიახლე მსოფლიოს საჭადრაკო ცხოვრებიდან, შეხვდეთ რომელიმე გამოჩენილ დიდოსტატს, მონაწილეობა მიიღოთ ერთდროული თამაშის სეანსში...

გაისად, 17 თებერვლისთვის, ამ რესტორნის ჰოლში დაგეგმილია მსოფლიო ჩემპიონის გარი კასპაროვის ერთდროული თამაშის სეანსი 120 დაფაზე. ამ ფაქტს საგანგებო ყურადღება ექცევა იმიტომ, რომ ჩემპიონთან თამაშის სურვილი გამოთქვეს ინგლისში ცნობილმა პიროვნებებმა, პოლიტიკის, ბიზნესის და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებმა, მათ შორის ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ლორდმა კალაგენმა, პოპულარულმა პოეტმა ტიმ რეისმა და სხვებმა. კასპაროვთან თამაშის სიამოვნება სეანსის მონაწილეს 1.000 გირვანქა სტერლინგი დაუჯდება.

რომის პაპი, ი. განდი, ნ. ჩაუშესკუ... ახლა ბ. ელცინი!

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უმაღლესი ჯილდო — ოლიმპიური ორდენი აქამდე მხოლოდ სამ პიროვნებას ჰქონდა მიღებული. ესენია რომის პაპი, ინდირა განდი და ნიკოლაე ჩაუშესკუ. წლეულს ამ საპატიო რელიქვიის მფლობელთა სიას მიემატა რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი. გაოცებას მხოლოდ ის იწვევს — რისთვის?.

თადარიგი დროული სჯობს

(დასასრული)

მიოდე პრიზიორი. ეს იყო და ეს. ალბათ სწორად მოიქცა საქართველოს განათლების სამინისტროს შესაბამისი სამმართველო, როცა ამჯერად ნაადრევად დაიჭირა თადარიგი, რათა გამოვლენილ პრეტენდენტებს ინტენსიური მზადების საშუალება მისცემოდათ.

უკან დარჩა პირველი წრე. 10 წლამდე გოგოებში ლიდერობენ ქუთაისელი ინგა ჭარხალაშვილი და თელაველი ანა მათნაძე (შესაბამისად 4,5 და 4 ქულა 5-5 შესაძლებლიდან). ბიჭებში პერიფერიების წარმომადგენლები არიან წინ — დუშელი გია ფარესიშვილი (4,5 ქულა 6-დან) და ზუგდიდელი ვალერი გვათუა (4 ქულა 5-დან. ამ უკანასკნელს 1 პარტია თადარიგში ჰქონდა). სამაგიეროდ, დედაქალაქელები დაწინაურდნენ 12 წლამდე გოგოების ტურნირში. თინა ყველიაშვილმა 5-დან მხოლოდ 0,5 ქულა დაჰკარგა და ქულით ასწრებს ნინო მაისურაძეს. ბიჭებში ქუთაისელ ალეკო ქასრაშვილს მეორე წრის წინ ერთი ქულის უპირატესობა აქვს თანაქალაქელ ვალერი გაფრინდაშვილთან და თბილისელ შალვა გურულიშვილთან, რომელნიც II-III ადგილებს იყოფენ 3-3 ქულით.

სულ სხვა სურათია 14 წლიანებში. აქ ლიდერობენ ქუთაისელი სოფიკო ტყეშელაშვილი და თბილისელი მილენა ესაიბეკიანი (4-4 ქულა). ასეთივე მოსავალი მოიმკო თბილისელმა მიხეილ მჭედლიშვილმა (6 შესაძლებლიდან). მის თანაქალაქელებს გიორგი ბახტაძეს (იგი 12 წლიანთა ასაკიდან გამოდის), არტურ ჩიბუხჩიანსა და ალექსი ედიშერაშვილს ქულით ნაკლები მოუგროვდათ, ოღონდ სამივემ თითო პარტიით ნაკლები ითამაშა.

16 წლიანებში თბილისელ მაია ლომინეიშვილს წამოეწია ბათუმელი დიანა დარჩია. ისინი ნახევარი ქულით ასწრებენ ქუთაისელ ნათია აფხაიძეს, რომელიც მეორე წრეს 3,5 ქულით დაიწყებს. ბიჭებში ორი მთავარი პრეტენდენტია: ვ. ქარსელაძის საერთაშორისო მემორიალში გამარჯვებული სერგო მოვსესიანი და რუსთაველი თამაზ გელაშვილი (3,5 თითოეულს). ოღონდ თბილისელს 1 გამოტოვებული პარტია აქვს.

ლეშა იოაკიმიდი

გარდაიცვალა საქართველოში სპორტული ცურვის ერთ-ერთი ფუძემდებელი, დამსახურებული მწვრთნელი, ფიზკულტურის დამსახურებული მუშაკი, უმაღლესი კატეგორიის არბიტრი, კაცი, რომელმაც 83 წელი იცოცხლა და აქედან შვიდი ათეული საყვარელ სპორტულ საქმიანობაში გალია.

ლ. იოაკიმიდი თბილისელი მოსამსახურის ოჯახში დაიბადა. ყმაწვილობიდანვე რეგულარულად ვარჯიშმა, ნიჭმა და შრომისმოყვარეობამ იგი მალე ჩააყენა საქართველოს უძლიერეს მოცურავეთა რიგებში. იყო რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი, წყალბურთის შესანიშნავი მეკარე. აქტიურ სპორტს 25 წლისა ჩამოშორდა, მაგრამ ცურვისთვის არასოდეს უღალატია — მწვრთნელ-მასწავლებლად დაიწყო მუშაობა და ერთობ ნაყოფირადაც ილვაწა — მრავალი მაღალი კლასის მოცურავე აღუზარდა საქართველოს ნაკრებს, მრავალზე მრავალს შეახწავლა ცურვის საიდუმლოება, იგი ხანგრძლივად ედგა სათავეში რესპუბლიკის ნაკრებს, რომელიც ურიგოდ როდი გამოდიოდა საერთაშორისო ტურნირებში. დაუფასდა კიდეც ამაგი — მისი ღვაწლი არაერთხელ აღინიშნა ჯილდოებით და, რაც მთავარია, მადლიერი აღზრდილების სიყვარულით.

ჩვენგან წავიდა კეთილი, გულისხმიერი, შრომისმოყვარე, პატიოსანი, გულმართალი ადამიანი, რომლის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მრავალრიცხოვანი აღზრდილების, მეგობრების, კოლეგების გულში.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის საწყლოსნო სახეობების კონფედერაცია

მანანა დარახელია

ტრაგიკულმა შემთხვევამ კიდევ ერთი სიცოცხლე შეიწირა თბილისში. გუშინ ახლობლებმა, მეგობრებმა და თანამშრომლებმა უკანასკნელ გზაზე გააცილეს საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ფარიკაობაში, სპორტის ოსტატი, რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრი მანანა დარახელია.

მანანა ადრიდანვე გაჰყვა მშობლების კვალს. საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელებმა ბატონმა შოთამ და ქალბატონმა თამარმა პირველებმა აზიარეს იგი სპორტს. სამწუხაროდ, ამ ოჯახს უბედობაც დაჰყვა — მამა ვერ მოესწრო შვილის დიდ სპორტულ წარმატებებს, ქალბატონმა თამარმა კი ახლა ერთადერთი იმედიც დაკარგა.

მანანა დარახელია ბავშვობიდან გამოირჩეოდა მტკიცე ხასიათით, გააჩნდა მიზნისკენ დაბეჯითებით სწრაფვის საოცარი უნარი. 1986 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კავშირგაბმულობის ფაკულტეტი, მუშაობდა ამავე დარგის საპროექტო ინსტიტუტში ინჟინრად.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი ახალგაზრდა, ქართული სპორტის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, მრავალი ადამიანური ღირსებით შემკობილი ადამიანი. მისი ნათელი ხსოვნა არასოდეს წაიშლება ჩვენს გულებში.

ფარიკაობის რესპუბლიკური ფედერაცია

პირველიდან მეთექვსმეტემდე

საავტომობილო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა 1993 წლის მსოფლიო ჩემპიონატის („ფორმულა-1-"ში) კალენდარი:

I ეტაპი. 28 თებერვალი. კიალამი (სამ. აფრ. რესპუბლიკა)
II ეტაპი. 14 მარტი. სან-პაულუ (ბრაზილია)
III ეტაპი. 4 აპრილი. აუტოპოლისი (იაპონია)
IV ეტაპი. 25 აპრილი. იმოლა (იტალია)
V ეტაპი. 9 მაისი. ბარსელონა (ესპანეთი)
VI ეტაპი. 23 მაისი. მონაკო (მონაკო)
VII ეტაპი. 13 ივნისი. მონრეალი (კანადა)
VIII ეტაპი. 4 ივლისი. მანი-კური (საფრანგეთი)
IX ეტაპი. 11 ივლისი. სილვერსტოუნი (ინგლისი)
X ეტაპი. 25 ივლისი. ჰოკენჰაიმი (გერმანია)
XI ეტაპი. 15 აგვისტო. ბუდაპეშტი (უნგრეთი)
XII ეტაპი. 29 აგვისტო. სპა (ბელგია)
XIII ეტაპი. 12 სექტემბერი. მონცა (იტალია)
XIV ეტაპი. 26 სექტემბერი. ეშტორილი (პორტუგალია)
XV ეტაპი. 24 ოქტომბერი. სუძუკი (იაპონია)
XVI ეტაპი. 7 ნოემბერი. ადელაიდა (ავსტრალია).

რურკი კინოში და რინგზე

მიკი რურკი ჰოლივუდის კინოვარსკვლავთა შორის არავისზე ნაკლები ავტორიტეტით და პოპულარობით არ სარგებლობს. განსაკუთრებული სახელი მოუტანა მას ფილმებმა „ცხრანახევარი კვირა", „ველური ორქიდეა", „ანგელოზის გული" და სხვა. მიკის ბავშვობიდან უყვარს სპორტი, კრივი კი მისი უმთავრესი გატაცებაა. მას რინგისთვის დღემდე არ დაუნებებია თავი. უფრო მეტიც, ამ ცოტა ხნის წინ პროფესიულ კრივში დაიწყო გამოსვლა.

მეოთხე ბრძოლის ჩატარება მას მოუხდა ესპანეთის ქალაქ ოვიედოში კანადელ ტერი ჯესმერთან და ამჯერადაც წარმატებას მიაღწია, მაგრამ კომენტატორები აღნიშნავენ, რომ ბრძოლა მიმდინარეობდა უფერულად, იგრძნობოდა, რომ არც ერთი მონაწილე არ იყო ფორმაში. კინომცოდნეთა განმარტებით, რურკიმ ორჯერ ითამაშა მოკრივის როლი ეკრანზე.

პირველად აზიაში

ტოკიო. ნაგანოს პრეფექტურის დასახლება ხაკუბა-მურაში მწყობრში ჩადგა 1998 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის განკუთვნილი ორი ტრამპლინი. ეს პირველი შემთხვევაა აზიაში, როცა 70 და 90-მეტრიანი ტრამპლინები ერთმანეთის გვერდითაა განლაგებული. მათზე „მფრინავ მოთხილამურეებს" შეუძლიათ გადახტნენ შესაბამისად 90 და 120 მეტრზე. ამ ტრამპლინების კონსტრუქცია საათში 90 კილომეტრის სისწრაფის განვითარების საშუალებას იძლევა. ორივე ტრამპლინმა მიიღო თხილამურების საერთაშორისო ფედერაციის სერტიფიკატი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ ტრამპლინების მშენებლობა დაიწყო 1990 წლის ივლისში და დაჯდა 7,6 მილიარდი იენი.

მოსალოდნელია ცვლილებები

— **ოლიმპიური** მოძრაობა საჭიროებს სრულყოფას! ასე ფიქრობს ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ასოციაციის პრეზიდენტი ჟაკ როგე, რომელიც სტუმრად იმყოფებოდა ბელარუსის დედაქალაქ მინსკში. შეკითხვაზე, რა აზრისაა ოლიმპიადებში წარმომადგენლობის კვოტებზე, პრეზიდენტმა უპასუხა: ჩვენ და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ორი პრინციპით ვხელმძღვანელობთ — პირველი პრინციპია უნივერსალიზმი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, თამაშების ხელმისაწვდომობა ყველა ქვეყნისთვის თანაბრად. მეორე პრინციპი კი ოლიმპიადაში მონაწილე სპორტსმენთა დონე გახლავთ.

— ბევრი ქვეყანა მოგვიწოდებს, რომ ოლიმპიადაზე რაც შეიძლება ბევრი სპორტსმენი დავუშვათ და ნუ მივაქცევთ ყურადღებას მათ ოსტატობას. აფრიკა, მაგალითად, ითხოვს საერთო ადგილების 27 პროცენტს ყოველგვარი კვალიფიკაციისა და შერჩევის გარეშე, ევროპის ქვეყნების ასოციაცია სხვაგვარად ფიქრობს: იგი დარწმუნებულია, რომ თამაშებში მონაწილე სპორტსმენთა ოსტატობის დონე დაახლოებით თანაბარი უნდა იყოს. ამიტომ, — განაცხადა როგემ, — ჩვენ არ ვეთანხმებით აფრიკელთა მოთხოვნებს, მიგვაჩნია, რომ მათი კვოტა 20 პროცენტზე ნაკლები უნდა იყოს. განსაკუთრებით პერსპექტიული აფრიკელებისთვის კი შეიძლება „ველური ბარათების" წესის შემოღება, რომელიც თამაშებში გამოსვლის უფლებას იძლევა ოლიმპიური კვალიფიკაციის გარეშე.

შემდეგ პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ კანდიდატებს შეარჩევენ სპორტის მხოლოდ იმ სახეობებში, რომლებშიც მონაწილეთა დაბალი ოსტატობა ხელს არ შეუშლის შეჯიბრების ნორმალურ მსვლელობას. მაგალითად, იმას, ვინც 10 კილომეტრს 32 წუთზე უარესად დარბის, ბოლო სამ წრეზე მარტო' მოუხდება ყოფნა, რაც შეჯიბრების გრაფიკს დაარღვევს. 100 მეტრზე რბენაში კი მოუმზადებელმა სპრინტერმა გრაფიკი შეიძლება დიდიდიდი 3 წამით დაარღვიოს.

როგეს აზრით, შეიცვლება ალბათ ოლიმპიადების მასპინძელი ქალაქების კანდიდატურების შერჩევის პრინციპიც. სოკა ამჟამად განიხილავს ამ საკითხის გადაწყვეტაში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მონაწილეობის აუცილებლობას. ამბობენ, სამარანჩი სოკის მონტე-კარლოს სესიაზე ახალ ვარიანტს წამოაყენებსო.

„სპორტლოტო"

51-ე ტირაჟები

„6 45": 5. 13. 17. 30. 34. 38.
„5 36": 21. 25. 27. 33. 36.
„6 56": 2. 3. 4. 22. 28. 32. 45.

„სპორტპროგნოზი"

სპეცტირაჟი „C-9"

1-X, 2-1, 3-1, 4-1, 5-1, 6-1, 7-2, 8-1, 9-1, 10-2, 11-2, 12-2, 13-2.

51-ე ტირაჟი

1-1, 2-X, 3-1, 4-1, 5-X, 6-X, 7-1, 8-2, 9-1, 10-1, 11-1, 12-2, 13-2.

50-ე ტირაჟის შედეგები

13 შედეგი — 86.225 მანეთი;
12 შედეგი — 1.951 მანეთი;
11 შედეგი — 392 მანეთი.

მარიო ლემიე ერიკ ლინდროსის წინააღმდეგ

თავდაპირველად რამდენიმე სიტყვა ჰოკეისტთა ეროვნული ლიგის მორიგი ტურის მატჩებზე. მათში ცენტრალური გახლდათ „პიტსბურგ პინგვინზისა" და „ფილადელფია ფლაიერზის" ორთაბრძოლა, რომელიც შეუდარებელი მარიო ლემიესა და მისი მუდმივი პარტნიორის იაროსლავ იაგრას ბრწყინვალე თამაშის წყალობით „პიტსბურგელმა პინგვინებმა" მოიგეს ანგარიშით 5:4.

ტურის სხვა მატჩები დამთავრდა ასე: „ნიუ-იორკ აილენდერზი" — „ოტავა" 9:3, „ნიუ-იორკ რეინჯერზი" — „სენტ ლუისი" 4:3, „მონრეალ კანადიენსი" — „კვებეკ ნორდიკსი" 8:3, „ჩიკაგო" — „ვინიპეგი" 5:1.

ჯგუფების მიხედვით ლიდერები არიან: „პატრიკის" დივიზიონში — „პიტსბურგი" (49 ქულა), „ადამსის" დივიზიონში — „მონრეალი" (44), „ნორისის" დივიზიონში — „ჩიკაგო" (40), „სმაითის" დივიზიონში — „ლოს ანჯელესი" (43).

აქ შეიძლებოდა შევვეწყვიტა ინფორმაცია ნჰლ-ის ჩემპიონატის დღევანდელ მდგომარეობაზე, ერთი გარემოება რომ არა, ორთვენახევრის წინ, უფრო ზუსტად კი 6 ოქტომბერს, „პიტსბურგისა" და მთელი პროფესიული ჰოკეის ერთ-ერთ ყველაზე „კაშკაშა ვარსკვლავს" მარიო ლემიეს 27 წელი შეუსრულდა. იმ ღამეს კლუბის მფლობელმა ჰოვარდ ბოლდუინმა იუბილარს საზეიმო ვითარებაში გადასცა... 42 მილიონი დოლარი, თანხა, რომელიც ლემიემ კლუბთან დადებული კონტრაქტის მიხედვით 7 წლის განმავლობაში უნდა მიიღოს, როგორც ჯამაგირი (წელიწადში 6 მილიონი დოლარი).

ნჰლ-ის 76-ე ჩემპიონატის დაწყების წინა დღეს (ტურნირმა სტარტი 7 ოქტომბერს აიღო) მარიო ლემიე ორჯერ უფრო მდიდარი და პროფესიული ჰოკეის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშე გახდა. დაჯილდოების შემდეგ იუბილარმა აღნიშნა: „რა თქმა უნდა, სასიამოვნოა ასეთი საჩუქრის მიღება დაბადების დღეს. მე ბედნიერი ვარ იმით, რომ „პიტსბურგში" ვთამაშობ და ბედნიერი ვარ იმითაც, რომ სპორტულ კარიერას ამ დიდებულ კლუბში დავამთავრებ".

მარიო ლემიემ ნჰლ-ში უკვე 8 სეზონი ითამაშა. მან აალებინა კლუბს „სტენლის თასი" ბოლო ორ სეზონში, სამჯერ გახდა ნჰლ-ის საუკეთესო ბომბარდირი, ხუთჯერ იყო შეყვანილი „ყველა ვარსკვლავის" სიმბოლურ ნაკრებში.

„პიტსბურგის" მფლობელს ჰოვარდ ბოლდუინს ჟურნალისტებმა ჰკითხეს:

— ხომ არ არის რისკთან დაკავშირებული ასეთი ხანგრძლივი კონტრაქტის დადება 27 წლის ჰოკეისტთან?

— რისკი, რა თქმა უნდა, არის, თუ გავიხსენებთ ზურგის ტრავმას, რომელიც მარიოს აწუხებს და რომლის გამო მას არაერთი მატჩი გამოუტოვებია, მაგრამ, ჯერ ერთი, ვინც არ რისკავს, ის არაფერს იგებს და მეორეც, ხომ არსებობს დაზღვევა? დღესდღეობით კი მარიო ჯანმრთელადაა, ბრწყინვალედ ჩასატარა სეზონისწინა სერიები და ახლაც ბრძოლისკენ მიიწევს.

მარიოს კონტრაქტმა როგორც ზემოთ ვთქვით, ყველა რეკორდი მოხსნა პროფესიულ ჰოკეიში. მანამდე კი რეკორდსმენად ითვლებოდა ერიკ ლინდროსი, ახალბედა, რომლის დებიუტი ნჰლ-ში წლეულს შედგა, უფრო ზუსტად, მარიო ლემიეს დაჯილდოების მეორე დღეს — 7 ოქტომბერს. თანაც „ფილადელფიაში" მოთამაშე ახალბედას გამოცდას უტარებდა „პიტსბურგის" ვარსკვლავი ლემიე.

შარშან ლინდროსი იუნიორებში თამაშობდა. მას თვალი დაადგა „კვებეკ ნორდიკსმა", მაგრამ ახალბედამ ამ კლუბში ჩარიცხვა არ ისურვა. რამდენიმე ჯერ სცადეს მისი გადაბირება, მაგრამ დიდ ფულს კონტრაქტისთვის არავინ იმეტებდა. „ფილადელფიამ" კი გაბედა და 6 წლით ჰოკეისტს 21 მილიონი დოლარი გადაუხადა. აი, ეს რეკორდი გააუმჯობესა ლემიემ.

7 ოქტომბერს „პიტსბურგთან" ერიკ ლინდროსმა თავისი პირველი შაიბა გაიტანა ნჰლ-ში. 19 წლის გიგანტს ჟურნალისტები მომავლის ჰოკეისტს უწოდებენ და, როგორც ჩანს, მაინც და მაინც ბევრს არც ცდებიან.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი სამძიმარს უცხადებს საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ფარიკაობაში თამარ დარახელიას შვილის

მანანა შოთას ასულ დარახელიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს სპორტის კომიტეტის მშენებლობისა და ნაგებობების სამმართველოს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე სამმართველოს მთავარ ინჟინერს ვაჟა სიხარულიძეს დედის

ნინა დომენტის ასულ სიხარულიძის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380086, ვ. კოსტავას, 14, ტელ: 99-56-47, 99-81-71. ინდექსი 66425 INDEX დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში.